საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030152545223716

№ 01-275/ო **29 / დეკემბერი / 2016 წ.**

„ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის N539 დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სერვისების გაუმჯობესების N2 ვალდებულების (ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის დანერგვა) შესრულების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის N539 დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სერვისების გაუმჯობესების N2 ვალდებულების ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის დანერგვის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო ბერძული - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
ბ) მიხეილ ჯანიაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
გ) ნანა ქავთარაძე - სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
დ) მარინა დარახველიძე - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ე) ავთანდილ თალაკვაძე - სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ვ) ქეთევან გოგინაშვილი - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ზ) შორენა ოქროპირიძე - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
თ) თენგიზ აბაზაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ი) მაია მაღლაკელიძე-ხომერიკი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
კ) კახაბერ ჩხარტიშვილი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ლ) ირაკლი ტაბატაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური

მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მ) მაია კერესელიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. სამუშაო ჯგუფში მოწვეული წევრის სტატუსით მონაწილეობა ეთხოვოს:

ორგანიზაციას „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ (USAID).

3. სამუშაო ჯგუფის მიზნები და ამოცანებია:

ა) ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის შესაქმნელად ძირითადი კონცეფციისა და ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრა;

ბ) შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ პორტალის ტექნიკური ნაწილის შექმნის პროცესის კოორდინაცია;

გ) შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ საინფორმაციო პორტალისთვის ინფორმაციის მომზადების ზოგადი კოორდინაცია;

დ) პორტალის პილოტირებისა და დანერგვის ხელშეწყობა.

4. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:

ა) იწვევს და წარმართავს სამუშაო ჯგუფის სხდომებს;

ბ) უძღვება სამუშაო ჯგუფის საქმიანობას;

გ) განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის სამუშაო განრიგს და ჯგუფის წევრების ამოცანებს;

დ) საჭიროების შემთხვევაში, იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს, სამინისტროს ექსპერტებსა და სამედიცინო ასოციაციებს სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად.

5. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა დაევალოს სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი  დავით სერგეენკო